# ივერია

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1889 1877—1889



გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასახელთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


## რედაქციისაგან

„ივერიის" რედაქცია გადავიდა კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, იქ, სადაც წინად მომრიგებელ-სასამართლოს მესამე განყოფილება იმყოფებოდა და ამ ჟამად ბ-ნ მრევლიშვილის პანსიონი იმყოფება.

---

„ტფილისის საზრანია"

სამშაბათს, 1 აგვისტოს,

გამართული იქნება

ქართული წარმოდგენა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი საფაროვისა, აველოვისა; ბ-ნი აბაშიძე, ცაგარელი, გუნია და სხვ.

დასაწყისი 9 საათზე

---

ტფილისი, 29 მკათათვე

მუდამ დღე, შინ და გარეთაც, გაიძახიან, რომ საზოგადოდ კავკასია და კერძოდ საქართველო საყურადღებო და შესანიშნავია წარსულის ნაშთებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოდ მეცნიერებისათვის, და რომ ამ ნაშთთა ძიება და შესწავლა შუქს მოჰფენს მრავალს გამოურკვეველს საგანს ისტორიისას, არხეოლოგიისას, ანტროპოლოგიისას და სხვ. და სხვ. რომ ასეთი აზრი კავკასიასა და საქართველოს შესახებ არც შემცდარი და არც გაზვიადებულია, ამას საკმაოდ ჰმოწმობს ის სხვა-და-სხვა ნაშთი, რომელიც თითქმის ყველას თვალ-წინა გვაქვს და რომელიც აქა-იქ ჩნდება ხოლმე სრულიად მოულოდნელად და უცაბედად. უფროს-ერთი ნაშთი წარსულის ისტორიისა, ხელოვნებისა, მწერლობისა სწორედ შემთხვევით, უცაბედად და ზოგჯერ უმეცარის ხელით ნაპოვნია მიწაში, ძველს მონასტრებსა და ეკკლესიებში და კერძო ოჯახებშიაც. ვის არა აქვს გაგონილი, რომ ამა-და ამ ადგილას ესა-და-ეს კაცი უცაბედად წააწყდა ამა-და-ამ ნაშთსაო, რომ ამა-და-ამ ქალაქში ბაზრობის დღეს ჰყიდნენ სხვა-და-სხვა ძველს სამკაულს, ვინ იცის სადა და როგორ ნაპოვ[ნ]ს; რომ ესა-და-ეს კაცი, რომელმაც ძველის ნაშთების ძიებისა არა იცის-რა, სჩიჩქნის აკლდამებსა და სამარხებსაო. დიაღ, ყოველივე ესე მეტად აშკარაა და ვგონებთ დღეს ისეთი არავინ იყოს, რომ ასეთი ამბავი მრავალი არ გაეგონოს.

იმისდა მიუხედავად, რომ თითქმის მთელს განათლებულს კაცობრიობას სწამს კავკასიის ძველ ნაშთთა მრავალ - გვარობა და მნიშვნელობა და ჩვენც მუდამ დღე შევცქერით ამ ნაშთებს და თან ვხედავთ, რომ მრავალი ნაშთი ჩვენს თვალ-წინ იღუპება, იძარცვება, დღემდე თითქმის არავითარი ზომა არ არის მიღებული ამ ნაშთთა დასაცავად. ჩვენს გაზეთში თავ-თავისს დროზე მოხსენებული იყო მრავალი ამბავი იმის შესახებ, თუ რამდენი შესანიშნავი ნაშთი და იკარგა და გაიძარცვა. ამ ამბებს ყურადღება ათხოვა მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებამ, რომელმაც თავისის შუამდგომლობით კიდეც შეაჩერა ბაგრატის დიდებულის ტაძრის გაძარცვა, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამქვეყნის ლაპარაკისა და გოდების შემდეგაც-კი კავკასიის წარსულის ნაშთებს მცოდნე მზრუნველი და გულ-შემატკივარი კიდევ დიდს ხანს არ გამოუჩნდება, ამ მოკლე ხანშიაც „ივერიაში" ნაამბობი იყო რამდენიმე შემთხვევა ამ გვარის უზრუნველობისა.

ამას წინად მოხსენებული იყო, რომ მცხეთის მახლობლად ერთმა ბერძენმა, რომელსაც მთავრობისაგან ნება - რთვა აღებული აქვს ოქრო - ვერცხლი ეძიოს, როცა მიწასა სთხრიდა, აღმოაჩინა მიწაში ჩაფლული შენობა, პორფირის ოთხ-კუთხიანი კარგად გათლილი ქვები და ერთი ოთხ-კუთხი ქვა, რაღაცა ზედ-წარწერით აჭრელებული. ამას გარდა, როგორც გავიგეთ, მრავალი სხვა ნივთიც აღმოუჩენია ამ ბერძენს, მაგრამ დღემდე ამ ამბისათვის ყურადღება არავის უთხოვებია, გარდა ადგილობრივის მწერლობისა, თუმცა მცხეთა სახელგანთქმული და შესანიშნავია თავისის წარსულითა და ნაშთებით. დღემდე არავის არავითარი საშუალება არ უხმარია, რომ იმ ბერძნის მიერ აღმოჩენილი ნივთები და იმისი განათხარი ადგილი დაიცვან მეცნიერებისათვის, თუმცა განონიც ჰბრძანებს ამ გვარის ადგილებისა და ნივთების დაცვას.

სამწუხარო ამბავს ძველის ნაშთების გაძარცვისას და განბნევისას მოგვითხრობს ჩვენი კორრესპონდენტი („ივერია" № 158). ქუთაისის მაზრის სოფ. ვანში, აზნაურ ახვლედიანების მამულში დიდი ხანია ჰპოულობდნენ ძველს ფულებსა და ნივთებს, მაგრამ ამ ამბისათვის არავის ყურადღება არ უთხოვებია. წლიდგან-წლამდე ყველა ეს ფული და ნივთი იკარგებოდა და კიდეც სამუდამოდ დაიკარგა მემამულეთა უცოდინარობის გამო. ერთის სიტყვით, იმ დრომდე არავინ მიჰხედა ახვლედიანების მამულებს, სანამ ეს შესანიშნავი ადგილები ხელში არ ჩაუვარდა ვიღაც იაკობს, რომელსაც, როგორც კორრესპონდენტის სიტყვებიდგანა სჩანს, სამეცნიერო კვლევისა და ძიებისა არა გაეგება-რა. ახვლედიანების მამულებში აღმოუჩენიათ რამდენიმე ძველი ფული, ძველი ჭურჭელი და ერთი კარგად დაცული ქვითკირის შენობა, ქვითკირისავე გალავნით გარშემოვლებული, როგორც სჩანს, ახვლედიანების მამული სამეცნიერო კვლევისა და ძიების მეთოდით არ უთხრიათ და ამიტომ შესაძლოა ეს მამულები უთავ-ბოლოდ მისჩიჩქნმოსჩიჩქნონ და შემთხვევით ნაპოვნი ნივთებიც-კი დაჰკარგონ. დღემდე არც ამ მამულებისათვის უთხოვებიათ თვალ-ყური, თუმცა აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება მალე მოჰკიდონ ხელი მცოდნე კაცებმა. ეს მით უფრო მოსახერხებელია, რომ იმ ვიღაცა იაკობს, რომელიც სოფ. ვანიდგან უკვე გაქცეულა, ახვლედიანებთან შეკრული პირობა ვერ შეუსრულებია და, უეჭველია, იმათს პირობას ძალა დაკარგული ექნება კიდეც.

ე. ი.

## ახალი ამბავი

*** სარწმუნო წყაროდამ შევიტყეთ, რომ სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკი მერმის გაზაფხულამდე გაიმართება ტფილისში. თვით ის, ვისაც ამ ბანკის შესახები საქმეები

---

## ფელეტონი

### მწყემსის სიმღერა

დროა შენც მალე ჩამაჰდნე,
თოვლო რჩომილო გორაზე:
დაიძრა მიწით ყვავილნი,
ამოჩნდნენ გროვით-გროვაზე.
ჰალამ გაიძრო კონკები,
ტანთ ირთავს ახლის კაბითა
მოქუჩდა წერო-საოთი
მინდვრის პირთ გუნდად, ძაბვითა;
საყელოს შაკვრა უხდება
ველ-მინდვრებს მწვანის ძაფითა.
ალაზანიც რო გამწყრალა,
მოსჩქეფს პირს დორბლით, ქაფითა.
ამ სატიალემ ზამთარმა
წელი მომწყვიტა ჯაფითა;
მოგიკვდი, ძმაო, მიტირე,
ამდენის ფითრ-ნეკრის კაფითა.
ვენაცვლე გაზაფხულის სულს,
ის მარჩენს თავის ძალითა;
თუ არ ის, აივსებოდა
ჰალა საქონლის ძვალითა;
დაიქცეოდა მთა-ბარი
მწყემსების ცოდვა-ბრალითა...
რა გიჭირს, ცხვარო, ტიალო,
ძოვე, ბალახი ხშირია;
ბოტო, გაუძვევ იქისკე,
სადაც ალაზნის პირია.
მა[ტ]ცხნივ შენ გაჰყევ, ბროლიავ,
მაღლა გეჭიროს ცხვირია.
გაზაფხულია, მუდრაგო,
რასა სთვლემ, რასა სტირია!?
ფხიზლად იყოდი, გენაცვლე,
როგორც ვაჟკაცი, გმირია,
ყურ-დაუჭრელი*) არ დაგვხვდეს,
ცხვარს არ გაგვიკრას კბილია.
აქა გვყავს თავის პატრონი,
მეც არ მამივა ძილია.
ძმანი ვართ, ბროლავ, მე და შენ,
ერთი გვაქვს ლხინი, ჭირია.
ვაჟანი ჩვენისთანანი,
ჩემო ბროლიავ, ძვირია,
მთისაკენ მოკლედვე წავალთ,
იქ ჯაფა ბევრით მცირია.
აქ ღიჭი არი, ჯაგ-ჯუგი,
უხვად ჩადუნის ძირია,
ადვილად დაიმალება
ნადირის მავნე ცხვირია...
გულს გაგვინედლებს მთა-ოხრის
ლალის ნიავის ძგრიალი,
გამონასხლეტი კლდეზედა
ფიცხის მთის წყაროს ჩხრიალი,
გამოსულთ სამეკობროდა
ცას არწივების ტრიალი.

ვაჟა-ფშაველა

*) მეტი სახელია მგლისა.

---

### ტფილისის სამეურნეო გამოფენა

კავკასიის გამოფენის შენობას თანდათან შნო და ფერი ემატება. შენობა ხისაა და კარგა მოზრდილიც. ჭერი უკვე დახურულია. აივნებს შელებვის მეტი არა აკლია-რა, იატაკიც თითქმის მზად არის, ასფალტით დაგებული. ეზოში რამდენიმე კოხტა აუზია გაკეთებული და შიგ წყალიც ყელ-მოღერებული ამოჩუხჩუხებს. ერთი თითეცა და გამოფენის სახლი თავის ეზოთი საუკეთესო შენობა იქნება მთელს ტფილისში და სანახავადაც საუცხოვო რამ.

თქმა არ უნდა, ჩვენი გამოფენა ვერ შეედრება პარიჟის გამოფენას, რადგან ტფილისი როდია პარიჟი და კავკასია შორსა სდგას საფრანგეთზე არა მარტო გეოგრაფიულის მანძილით, არამედ კულტურისა და განათლების განსხვავებით უფრო. ამასთანავე პარიჟის გამოფენა არის ნიშანი იმ უმაღლესის ბედნიერებისა რომელსაც ეს ერთი საუკუნეა, რაცა ჰგრძნობს მთელი ხალხი საფრანგეთისა და იმასთან მთელი განათლებული კაცობრიობა. ეს უმაღლესი ბედნიერება საფრანგეთისა მდგომარეობს იმ იურიდიულსა და პოლიტიკურს თავისუფლებაში, რომელიც აღიშენა საფრანგეთის ხალხმა ამ ასის წლის წინად, შემდეგ დიდისა და ვაჟკაცურის ბრძოლისა, და რომელიც ეხლა შესაშურებელი ხვედრია ყოველის ფრანგისა. დღეს მთელს დედამიწაზე იშვიათია ისეთი ხალხი, რომელიც არ აფასებდეს ადამიანის პიროვნების შეუვიწროებლობასა და თავისუფლებას. ასეთი შეუვიწროებლობა და თავისუფლება მოუპოვა საფრანგეთმა ყოველს თავისს მოქალაქეს, თავისს სისხლსა და ხორცს, თავისს შვილსა და შვილიშვილს. ამიტომ არც საკვირველია ვისთვისმე, რომ ხალხმა საფრანგეთისამ, სახსოვრად ამ ასის წლის ბედნიერებისა, გამოიჩინა მთელი თავისი შნო, უნარი, გარჯა, მხნეობა, მოხსნა თავისს ღონიერს ქისას პირი და არა დაჰზოგა-რა, რომ პარიჟის გამოფენა ერთი რაღაც განუწყვეტელი დიდება ყოფილიყო საფრანგეთის ერისა.

ამ სახით, ჩვენი გამოფენა არა თუ მარტო იმიტომ ვერ შეედრება პარიჟისას, რომ იგი ჩვენებურია, არამედ თვით აზრიც კავკასიის გამოფენისა არის მარტივი და სადა, უბრალო. რა თქმა უნდა, ჩვენ არცა გვქონია სახეში, რომ პარიჟთან გაგვეწოდნა ფეხი. ჩვენ კარგად გვესმის ჩვენი ძალ-ღონე, საკმარისად ვიცნობთ ჩვენს თავს, რომ ან-კი გაგვევლო გულში დატოლება საფრანგეთთან.

როგორც ვამბობთ, აზრი ჩვენის გამოფენისა მარტივი არის, მაგრამ ჩვენთვის ასეთ მარტივ-აზრიანი გამოფენაც დიდსა და ძალიან დიდს რასმე შეადგენს.

**

ბალღმაც-კი იცის, რომ ჩვენი მეურნეობა დღეს ძალიან დაცემულია და ძლივს ვაი-ვაგლახით გვაძლევს სახსარს ისეთის ცხოვრებისას, რომელსაც სიცოცხლე კი არ ეთქმის, არა, ვაინაჩრობა უფრო ზედ-გამოჭრილი სიტყვა იქნება. ჩვენ დილიდამ დღემდე ვიმაგრებთ თავსა და ვართ ისე, რომ სული კბილით-ღა გვიჭირავს. ეს არის, აბრუ ველარ გაგვიტეხნია, თორემ ჩვენი ქონებრივი სილატაკე ყველასთვის აშკარა ამბავია. ამ სიღარიბის მიზეზად ბევრს გარემოებას ასახელებენ, ზოგს შინაურს მოუწყობელობას, ზოგს რასა და ზოგს რას. მხოლოდ უმთავრესი მიზეზი, რომელიც ყველას პირზე აკერია, ჩვენი ეგრედ-წოდებული ვითომ სიზარმაცე და ვითომ უზრუნველობაა. ქართველი ხალხი დაუდევარი, გაუფრთხილებელი და მოუფიქრებელი ხალხიაო — გეტყვით ჩვენზე რუსიც, სომეხიც, თათარიცა და თვით ქართველიც, რომელსაც ჯერ არ უგემნია სიტკბოება საკუთარის ოფლით მოპოვებულის ლუკმა-პურისა. მეშრომე ქართველმა-კი იცის კარგად, რომ დილიდამ საღამომდე წელებზე ფეხს იდგამს ლუკმა-პურის მოსაპოვებლად, კეთილდღეობის მოსალონიერებლად, მაგრამ კეთილ-დღეობა თანდათან მიურბის ხელიდამ და პირში რჩება მხოლოდ მშრალი და ფიტ-გამოცლილი ლუკმა, რომელიც უნდა გამოიღოს პირიდამ, გადატეხოს ათ ნაწილად მაინც, რომ გაუძღვეს ერს, ბერს, მღვდელს, გზირსა, მრავალს მტერსა და მოკეთეს, ხოლო თავისა და ოჯახისთვის დაიტოვოს ძლივს მეათედი ნაწილი. ნამდვილი მეშრომე ვერ დაემდურება ვერც თავის სიზარმაცეს, ვერც დაუდევრობას, ვერც გაუფრთხილებლობას, მაგრამ თავისის თვალითა ჰხედავს, რომ გინდა ერთი ათად იქცეს, გინდ ლომივით წაეჭიდოს სხვა-და-სხვა მხარეს მეურნეობისას, მაინც მაგდენად ვერ გასცდება იმ გარემოებას, სადაც კაცს სული კბილით ძლივს დაუჭერია. ამისთანა გარემოებაში მოქცეული ადამიანი უნდა ჰკარგავდეს რწმენას თავისს თავისას, თავისს გარჯა-მხნეობისას და სიზარმაცეც რომ დაიწყოს, სწორედ არ არის გასამტყუნებელი და გასაკიცხი, უნაყოფო შრომისთანა გულის გამტეხი სხვა არა გარემოებ

და ჩერჩილი, რომელთაც დიდი გავლენა და სახელი აქვთ ინგლისში, გერმანიის პოლიტიკის წინააღმდეგნი არიან და იმათ სრულიადაც არა ჰსურთ ხელი მოუმართონ გერმანიის ბატონობას.

როგორც ეტყობა, ისპანიაც გერმანიის პოლიტიკის წინააღმდეგია. ისპანიის მართებლობამ სამსახურიდგან დაითხოვა თავისი ელჩი, გრაფი ბენომარი, რომელიც გერმანიის მომხრე იყო და სცდილობდა გერმანიასა და ისპანიას შუა მეგობრობა დაემკვიდრებინა. გერმანიის მართებლობამ იწყინა ბენომარის დათხოვნა და იმპერატორს ვილჰელმს იმისი მხარე ეჭირა. ამასობაში გრაფ ბენომარი ისე გათამამდა, რომ თავისის მართებლობის ბრძანებას ეურჩა და რამდენსამე ხანს თანამდებობასა და საქმეებს არ უთმობდა თავისს მოადგილეს.

კიდევ უფრო საგულისხმო ის არის, რომ გერმანიას თავის ნამდვილ მოკავშირეთა გულიც ვერ მოუგია. ამას წინად ბავარიის პრინცმა ლიუდვიგმა სიტყვა წარმოსთქვა, სხვათა შორის ქება-დიდებით შეამკო გერმანიის პოლიტიკა და სთქვა: ავსტრიამ არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი გერმანიელი სახელმწიფოაო. ეს სიტყვა მეტად იუცხოვეს ვენგრიელებმა და სლავიანებმა, რომლებსაც გერმანიის ბატონობა არ მოსწონთ, რადგანაც გერმანიის ბატონობა იმათ გათელვას ემუქრება. მართალია, თვით მართებლობა ავსტრიისა გერმანიის მომხრეა, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ვენგრიელებსა და სლავიანებს საკმაო სახელი და გავლენა აქვთ ავსტრიაში და არაფრად მოსწონთ გერმანიისა და ავსტრიის მეგობრობა.

ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ, როგორც მრავალჯერ ყოფილა მოხსენებული, გერმანიის ბატონობა პატივსა და თანაგრძნობასა ჰკარგავს, რადგანაც იგი დამყარებულია სამხედრო ძალ-ღონესა და დაურიდებლობაზე.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ და გუშინ ტფილისზე ჩაიარეს რუსის ყარაჩებმა. ყარაჩები საკუთარის ცხენებითა და პოვოსკებით დადიან, სულ თხუთმეტამდე ოჯახია და სტავროპოლის გუბერნიიდგან მოდიან. ყარაჩები ამბობენ, რომ პეტიგორსკს ცოტა იქით ვსცხოვრობდით, ძალიან ცუდი მოსავალი მოგვივიდა, მიწა აღარას გვაძლევს და ეხლა ყარსისაკენ მივდივართ, თუმცა ნამდვილად-კი არ ვიცით, იქ-კი კეთილი დაგვეყრება, თუ არაო.

*** გორიდგან შეუტყობინებიათ კავკასიის გამოფენის მართველობისათვის, რომ აქაურის აფთიაქის პატრონს ბ-ნს კ. ი. შეპფს განზრახვა აქვს საგამოფენოდ გამოჰგზავნოს საყურადღებო კოლლექცია წამლის ბალახებისა, რომელიც გორის მაზრაში იქნება შეგროვებული; იგივე გამოჰგზავნის ბადაგს სხვა-და-სხვა ხილისაგან გამოხდილს, ნაძვის კაკლის ზეთს, რომელიც უმცირეს მეხანიზმებისთვის კარგი სახმარი გამოდგება, დაწმენდილსა და დაუწმენდავს გლაუბერის მარილს, გორის ახლო-მახლო მოპოვებულს, თავისვე გაკეთებულს ხილის შუშხუნა წყალს და აგრეთვე რამდენსამე ბოთლს წამალს.

ბ-ნი გაუსმანი და გამბაროვი მშვენიერს ხილს გამოჰგზავნიან საკუთარის ბაღებიდგანაო.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ახლად დანიშნული სუხუმის ეპისკოპოსი ალექსანდრე ამ ჟამად ყირიმში იმყოფება, საიდგანაც შავის ზღვით წამოვა სუხუმს და არა ტფილისს კავკავის გზაზე, როგორც წინად ამბობდნენ. სუხუმიდგან ეპისკოპოსი ალექსანდრე ჩამოვა ტფილისს საქართველოს ეგზარხოსის პალადის სანახავად.

*** მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი ტფილისიდგან გაემგზავრა ახალციხის მაზრაში, როგორც უკვე მოეხსენებათ მკითხველებს. ამ თთვის 6-ს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა პალადი მოვიდა ბორჯომში არხიმანდრიტ ნიკოლოზითურთ და აქედგან მეორე დღეს, ე. ი. 7-ს ამ თთვისას, ეგზარხოსი გაემგზავრა სოფ. აწყურში იქაურის ძველის ტაძრის სანახავად, რომელიც ეხლა თითქმის სულ დაქცეულია. ამ ტაძარს ეგზარხოსმა პალადიმ დიდი ყურადღება მიაქცია. აწყურიდგან ეგზარხოსი გაემგზავრა ახალციხეში, სადაც დიდის ამბით მიეგებნენ, და ამავე დღეს დაათვალიერა საფარის მონასტერი (12 ვერსზეა ახალციხიდგან), სადაც საღამოს რვა საათამდე დარჩა და შემდეგ დაბრუნდა ახალციხეში. ქალაქში ეგზარხოსმა დაათვალიერა ძველი ციხის ტაძარი და წმ. მარინეს ახლად აგებული ეკკლესია. ეგზარხოსი აბასთუმანს მხოლოდ მეორე დღეს აბრძანდა. გზაზე დაათვალიერა ზარზმის მონასტერი ეს მონასტერი არის ქართველ მაჰმადიანთა სოფელში. შესანიშნავი ის არის, რომ ამ მონასტერს უყარაულებენ ერთის მაჰმადიან - ქართველის შთამომავალნი მეჩვიდმეტე საუკუნედგან. ეგზარხოსი კარგა ხანი დარჩა ამ მონასტერში. მართალია, ამ სოფელში არც ერთი ქრისტიანი არ არის, მაგრამ მცხოვრებნი ყველანი ქართულად ლაპარაკობენ. აბასთუმანს ეგზარხოსმა ინება პირდაპირ ტაძარში მიბრძანება. მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა აბასთუმანში დარჩა ათ დღემდე. აქ ყოფნაში ეგზარხოსი ეკკლესიაში წირვის შემდეგ ურიგებდა ხოლმე ხალხს პატარა ჯვრებსა და წიგნაკებს. დაათვალიერა აქაური ფერშლების სასწავლებლის ბანაკი და სამხედრო საავადმყოფო. 17-ს მკათათვეს მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა გაემგზავრა ახალ-ქალაქში, სადაც დარჩა მეორე დღემდე.

მეორე დღეს, მკათათვის 18-ს, ეგზარხოსი პალადი წაბრძანდა ვარძიის მონასტერში. ეს მონასტერი, სადაც ეხლა ერთი მღვდელ-მონოზანი სცხოვრობს, თავის დროს ძალიან დიდი მონასტერი ყოფილა. ტაძარი და ბერების საცხოვრებელი სენაკები სულ კლდეშია გამოქვაბული. ამ მონასტერში ამ გვარად გამოქვაბულია ექვსასამდე ბერის სენაკი. ამ მონასტრიდგან ეგზარხოსი დაბრუნდა უკანვე ახალ-ქალაქში, სადაც დარჩა მეორე დღემდე, და მეორე დღეს, 19 მკათათვეს, წაბრძანდა ბორჯომს.

გზაზე პურ-მარილით ეგებებოდნენ სოფლელები და მათ შორის სომეხთა მღვდლებიც, რომელთაც ხელში ეჭირათ ჯვრები. მთელი გზა ბორჯომამდე ხალხით იყო მოფენილი. საქართველოს ეგზარხოსი ბორჯომს დარჩა მეორე დღემდე, მეორე დღეს, 20-ს ამ თთვისას, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ბორჯომიდგან ხაშურში წაბრძანდა და აქედგან რკინის გზით ჩამობრძანდა ტფილისში.

*** ამ თთვის 25-ს, განთიადს, ფრანგების ქუჩაზე, თულაევის სახლში, შემდეგი ამბავი მოხდა. ამ სახლში მდგარა ვილაცა ტფილისის მოქალაქის ქვრივი ნინა კედელაშვილი თავის ძმით. ეს კედელაშვილი თურმე ჰყვა-

---

დამოუკიდებლად. ახალის მკვდრის ჩასასვენებლად ხან ერთს ქვას აზდიდნენ, ხან ორს ერთად, ხან სამსავე იმისდა მიხედვით, თუ რა ტანის მიცვალებული უნდა ჩაესვენებინათ. რა თქმა უნდა, ეს უიმისოდ არ მოხდებოდა, რომ ახალის მკვდრის გვამს წინად დამარხულის ძვლები არ მიეწივ-მოეწია, არ აერივ-დაერია ერთმანეთში. გრაფი უვაროვი და ტიზენჰაუზენი ამითი ჰხსნიან იმ გარემოებას, რომ ერთსა და იმავე საფლავში რამდენისამე ადამიანის ძვლებია ერთმანეთში არეული. ასე ყოფილა ბევრგან სხვაგანაც და საკვირველი რად უნდა იყოს, რომ ჩვენშიაც ეგევე ყოფილა. ამის დასამტკიცებლად სხვა საბუთებიც მოჰყავთ ზემოხსენებულთ მეცნიერთ, ხოლო სიტყვის მოკლედ მოჭრისათვის ჩვენ აქ არ ვიხსენიებთ.

აშკარაა, ბაიერნს არაფითარი საბუთი არა ჰქონია ამ გარემოებისაგან თავისი предположеніе გამოეყვანა და ჩვენს ავტორს კიდევ საფლავი საკუჭნაოდ გადაექცია. რაც შეეხება კაცის მჭამელობას, ეს ისე ულირსად დაინახეს უვაროვმა და ტიზენჰაუზენმა, რომ ყურიც არ ათხოვეს და ამის თაობაზედ ბაიერნს პასუხიც არ აღირსეს. თვითონ ზემო-მოყვანილი სიტყვები: даже какіе-то слѣды антропофагіи გვიმტკიცებს, რომ ეს აზრი ბაიერნისა თითქმის სასაცილოდაც არის აგდებული.

ჩვენს ავტორს რომ მართლა კრიტიკის გაგება რამ ჰქონოდა და ეს სიტყვა არ დაეხვია ხელზედ მარტო თავ-მოსაწონებლად და მარაქაში გასარევად, ესე ბრმად არ დაჰნებდებოდა იმისთანა ავტორიტეტს, როგორიც ბაიერნია. აბა ამისთანა კაცი უკიჟინებს სხვას კრიტიკის არ ხმარებას! მოდით და ნუ იტყვით: სართი დასწრებისაო.

ეხლა გავუსინჯოთ მეორე საბუთი, საიდამაც ბაიერნს და მის ამყოლს ჩვენს ავტორს გამოჰყავთ თავიანთი დასკვნა ქართველთა მიერ კაცის მჭამლობის თაობაზედ. ეს მეორე საბუთი დამწვარი ძვლებია—ადამიანისა თუ პირუტყვისა — ბაიერნისაგან ზოგიერთ საფლავების ახლო ნაცარში ვითომ და ნაპოვნი, და გამოვიძიოთ, —ეგ დამწვარი ძვლები, თუნდა ადამიანისაც, კაცი მჭამლობას მოასწავებს, თუ მეცნიერება საბუთს გვაძლევს სხვა რამ ვიგულისხმოთ.

შედარებითმა მითოლოგიამ გამოარკვია, რომ ყოველს ერს დედამიწის ზურგზედ თითქმის ერთნაირი გზა გამოუვლია სარჯულო ფილოსოფიისა და ამ ფილოსოფიას ერთ ნაირი, ერთ გვარი ჩვეულობა მოჰყოლია, ბოლოს წესად და რიგად გადაქცეული. ყველა ერს იმისთანა ხანა ჰქონია, როცა სიკვდილი ჰგონებია დროებითი განსვენება, მიცვალება, მიბარება და არა სამუდამოდ მოკვდომა. ეს რწმენა კაცობრიობას დღევანდლამდე შერჩა, ხოლო სხვა სახით. დღესაც გვწამს, რომ, როცა იქნება, მკვდრეთით აღვსდგებით, მეორედ მოვალთ, აქედამ იმ დროს მეორედ მოსვლას ველით. ეხლა გვწამს, რომ სიკვდილით სააქაოს ვშორდებით, პირველ ყოფილ დროს-კი სიკვდილს ისე უყურებდნენ, როგორც განგრძობას სააქაო ცხოვრებისას. ამასთანავე ეგონათ, რომ ადამიანი სიკვდილს შემდეგაც ისე სცხოვრობს, როგორც ცოცხლობის დროს, ისეთივე საჭიროება აქვს, ისეთივე სურვილი, ისეთივე წყენა და სიამოვნება, სიმშილი და წყურვილი [8]).

ეს ამისთანა გამოხატულობა სიკვდილის შემდეგ ცხოვრებისა, რასაკვირველია, ვალად დასდებდა ჭირისუფალთ თავის მაცვალებულისათვის ისე ეპატრონათ, ისე მოევლოთ, მისი ცხოვრება ისე მოეწყოთ, როგორც ცოცხლობის დროს. აქედამ არის წარმომდგარი იგი ჩვეულება, რომ მიცვალებულს თან გაატანდნენ ყოველ იმას, რაც სააქაოს იმისთვის საჭირო იყო, რაც უფრო უყვარდა, რაც უფრო ესიამოვნებოდა, რომ საიქიოს ცხოვრება არ გასჭირებოდა და ყოველივე ის, —ცოტად თუ ბევრად, —ჰქონოდა, რაც სიცოცხლის დროს ჰქონებია. ამიტომაც, რა-კი ოჯახში ვინმე მოკვდებოდა, უკეთეს ტანისამოსით მორთავდნენ, თან საფლავში ჩააყოლებდნენ იარაღს, სამკაულს, ხორაგსა, საჭმელსასმელს, საფლავზედ დაუკლავდნენ ცხვარს, ცხენს, ქათამს და სხვას ამისთანას, რომ ყოველივე ესსაიქიოს მოიხმაროს საჭიროებისამებრ. ყოველს ამას მიართმევდნენ მიცვალებულს არამც თუ მარტო დამარხვის დროსა, დამარხვის შემდეგაც კიდევ დიდხანს ეგრე ჰპატრონობდნენ და ეს პატრონობა იქამდე მიდიოდა, რომ იმის კერძს საჭმელ-სასმელს არ მოაკლებდნენ ხოლმე და ზოგან ყოველ დღე და ზოგან დრო გამოშვებით ამ კერძს ცალკე დასდგამდნენ, მიცვალებულის სული მოვა და შეექცევაო.

ზოგი ერია დღესაც, რომ სუფრიდამ ცალკე კერძს გადასდგმენ ხოლმე მიცვალებულის სულისათვის. ფიჯიელნი (ველური ხალხია) დღესაც ნაწილს ხორაგისას ცალკე გადისვრიან, როცა ჭამა-სმაზედ სხდან, რომ მიცვალებულის სული უნაყროდ არ დარჩეს. სპენსერს მოჰყავს მალკომი იმის მოწმად, რომ ბილახნი (ველური ხალხია) სასმელს ისე არავის არ უთავაზებენ, რომ თავი არ გადაუქციონ, ვითომ-და მიცვალებულსაც ერგოს რამეო, სმიტი მოგვითხრობსო, ამბობს სპენსერი, რომ არაუკანელნი (ველური ხალხია) ყოველთვის სასმელს თავს გადუქცევენ ხოლმე და ყოველის საჭმლის ნაწილს ცალკე გადასდებენ მიცვალებულის სულისათვის უწინარეს იმისა, მინამ თვითონ ჭამა-სმას დაიწყებენო.

განა შორს არის ყოველს ამაზედ ჩვენი საკუთარი ჩვეულება, რომ მკვდრის ხსენებაზედ ღვინოს თავს გადავუქცევთ და ხან პურზედ დავაწვეთებთ, ხან მიწაზედ იმისდა მიხედვით ვდგევართ, თუ ვსხედვართ და პური ხელთა გვაქვს, თუ არა სმის დროსა. ეს ჩვენი ჩვეულება სწორედ ამ სათავიდამვე მომდინარეობს.

რომ ეს ასეთი რწმენა თითქმის ყველასა ჰქონია ერთს დროს, ამისი უკეთესი საბუთი იგია, რომ დღესაც ყველგან დარჩენილია ჩვეულებად სამკვდრო ტაბლა. როგორც ჩვენში, ისე ბევრგან სხვაგან და სხვათა შორის ევროპაშიაც დღესაც წელიწადში ერთხელ მაინც მიცვალებულს მიუტანთ ხოლმე სასაფლაოზედ ტაბლას ხორაგითა და სხვა სასმელ-საჭმელით. ჩვენი კოლიო, წანდილი, ქელეხი, მკვდრის სულისათვის საკლავის დაკვლა სხვა არა არის-რა გარდა იმისი, რომ ნაშთია იმ რწმენისა, რომ ვითომც სული მიცვალებულისა არ მოგვიშივდესო და საზრდო მივაწოდოთო. ამ რწმენის ნიშნებს ბევრს სხვა ჩვეულებაშიაც იპოვის კაცი, თუ გონება გაადევნა.

გარდა ამისა, რომ ჭირისუფალნი მიცვალებულის სულისათვის საჭმელსასმელსა ჰზრუნავდნენ, თავის თავს მოვალედა ჰრაცხდნენ მიცვალებულის სულს ის მოწყობილობა არ მოაკლონ, რაც სიცოცხლის დროს ჰქონდა. ეგონათ, რომ მიცვალებულს სიკვდილის შემდეგ ყოველივე ის დასჭირდება, რაც სააქაოსა სჭირდებოდა. ამიტომაც, როგორცა ვსთქვით, სახმარს იარაღს, საყვარელს ცხენს, თუ ხარს ზედ დააკლავდნენ, ზოგან თან ჩააყოლებდნენ ხოლმე საფლავში. ამისთანა რწმენამ იმ საზარელ ჩვეულებამდე მიაღწევინა ადამიანს, რომ მიცვალებულის მოსამსახურეებს, მიცვალებულის ცოლს შიგ ჩააყოლებდნენ ხოლმე საფლავში იმ აზრით, რომ ყოველივე ეს იქაც დასჭირდებაო. სპენსერი, როცა ამ მკვდრისათვის საჭმელ-სასმელზედ და მოსამსახურეების თან ჩაყოლებაზედ ჰლაპარაკობს, გვეუბნება, რომ ორი მიზეზი იყო ამისთანა წესისა და რიგისაო: ერთი ისა, რომ საჭმელ-სასმელი არ მოაკლდეს მიცვალებულის სულსაო და მეორე ისა, რომ მოსამსახურე და ცოლი იქაცა ჰყვანდესო. ეს პირველ ხანებში სამარხი რიგი იყოვო და მერე თანდათან რჯულის წესად შეიქმნაო [9]).

ბევრგან ჩვეულებად მიცვალებულის დაწვაც ყოფილა, პირდაპირ დამარხვის მაგიერ ინდოელნი, ბუდის მიმდევრებ-სანი, სწვავდნენ მიცვალებულსა [10]). არიელნი - კელტნიც აგრე იქცეოდნენ [11]). რა თქმა უნდა, დასწვავდნენ მიცვალებულისათვის თან გასატანებელსაც—ადამიანი იქნებოდა, თუ პირუტყვი. ლებბოკი ამბობს, რომ ეს დაწვა მიცვალებულისათვის გადადებულის სხვერპლისა — ადამიანია, თუ პირუტყვი —ყველა ძველ რჯულში მოიპოვებაო. ეს წესი წარმოადგენსო აუცილებელს საფეხურს ყოველის რჯულის განვითარების კიბეზედაო. იგი გვარწმუნებს, რომ არც ერთი რჯული არ არის, რომ ეს გზა არ გამოევლოსო. ლებბოკიც თანახმაა სპენსერისა, რომ ეს წესი ჯერ სამარხი წესი იყოვო და მერე რჯულის წესად გადაიქცაო და იმ მიზეზთაგან წარმოსდგაო, რომელსაც სპენ-

[8]) სპენსერი: საფუძველნი სოციოლოგიისა, ლებბოკი: დასაწყისი ცივილიზაციისა, ტეილორი და სხვანი.

[9]) სპენსერი: საფუძველნი სოციოლოგიისა, გვ. 282, 284.

[10]) იქვე, გვ. 275.

[11]) კარიერი: გვ. 106.

რობდა სოფ. ცხინვალის მცხოვრებელს პავლე გულარიძეს, რომელსაც იმაზე ჯვარის დაწერა სდომებოდა. გულარიძეს შეუტყვია, რომ კედელაშვილი სხვებსაცა ჰყვარობსო, და ამის გამო სულ მუდამ უსიამოვნობა ჰქონიათ. ამ ღამეს გულარიძე მისულა კედელაშვილის სადგომში და დაუწყია ჩხუბი. როდესაც ამ დედა-კაცს მოუნდომებია დულარიძის გამოგდება თავის სადგომიდგან, ამას ამოუღია ჯიბიდგან დიდი დანა და დაუჭრია კედელაშვილი მარჯვენა ბარძაყში. კედელაშვილს მიშველებია ძმა კონსტანტინე პერძენიშვილი, რომლისთვისაც გულარიძეს ხელები გადაუსხვებია დანით. დაჭრილნი გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოში და პავლე გულარიძე-კი დააპატიმრეს ციხეში.

*** გორი: გორელებს ერთად-ერთი დროს გასატარებელი და სასეირნო ბაღი (როტონდა) გვაქვს, საცა საღამოობით დიდ-ძალი ხალხი იკრიბება ხოლმე. სამწუხაროდ, ამ ბაღში დიდი უწესოება სუფევს და ამიტომ ჩვენი ქალები ვერც ამ ბაღში სიამოვნებენ და ატარებენ დროს. ამის მიზეზი ის არის, რომ ზოგი თავ-გასული კაცი იმის მეტს არას დაეძებს, რომ როგორმე ქალს შეურაცხება მიაყენოს. ეს ვაჟბატონები ქალს ისე არ აუვლიან გვერდით, რომ ხელი არ წაავლონ და უშვერი სიტყვა არ დაახვედრონ. ამ ყოვლად სამარცხვინო საქმეს ზოგჯერ ისეთი კაციც სჩადის, რომლის წოდებას ბალებში სეირნობაც არ შეჰფერის, არამც თუ ქალების დევნა. ამ კაცმა მეტად მოაბეზრა თავი ქალებს, მაგრამ ეს საბრალოები ხმის ამოღებასაც ვერა ჰბედავდნენ, ეშინოდათ, ვაითუ არავინ დაგვეიჯეროსო, მაგრამ ბოლოს მოთმინებიდგან გამოსულებმა ამ კაცის საქციელი პოლიციას შეატყობინეს.

*** ძქადამვე: თუმცა ტფილისიდგან იწერებოდნენ დიდს სიცხეებს, მაგრამ არც გორი იყო უკეთესს ყოფაში, კიდევ მადლობა უფალს, რომ დიდხანს არ გასტანა ამ უზომო სიცხეებმა, თორემ თქვენს მტერს, რაც გორელებს დაგვადგებოდა. 18-ს და 19-ს ამ თთვისას აქ მოვიდა მშვენიერი წვიმა და თან მოჰყვა ნიავარი და ეხლა არა თუ გრილა, კიდეც ცივა. სიცხეებმა უფრო იმიტომ შეაწუხეს გორელები, რომ წელს ჩვეულებრივზე მეტი უსუფთაობა იყო ქუჩებში, გამვლელ-გამომვლელი იფლებოდა ნაგავსა და მტვერში ზედ პირველს ქუჩაზედ, და სხვა ქუჩებზედ რა იქნებოდა, ადვილი მისახვედრია. ამას წინად აბეზარ მოსული გორელები შეიყარნენ, მოილაპარაკეს და გადასწყვიტეს ფული გამოეღოთ, ერთი სარწყავი მაშინა ეყიდნათ და ეს პირველი ქუჩა ერწყოთ ხოლმე. ფული კიდეც მოაგროვეს და ერთს კაცს დაავალეს მაშინის ყიდვა, მაგრამ, არ ვიცი რა მიზეზით, იმას დღესაც არ უყიდნია და ზოგს კიდევაც უბრუნებს ფულს და ზოგსაც ჰპირდება დაბრუნებას.

*** 1 განყოფილებაში სამხედრო ოლქის სასამართლოს მდივანს ტერიონს მოსამსახურე ბიჭმა პლატონ აბდუშელიშვილმა მოჰპარა ერთი ვერცხლის საჭმლის კოვზი, 5 მანეთად ღირებული. ეს მოპარული კოვზი პოლიციის მე-5 განყოფილებაში აღმოჩნდა ლეკ მამედ-ისლამ-ოღლისთან. დამნაშავე პასუხის-გებაში მიცემულია.

*** 27 მკათათვეს ღამის 11 საათსა და 55 წუთზედ ცეცხლი გაუჩნდა ივანე კეპინოვის სახლის ბუხარს და ჩააქრეს შინაურის საშუალებით. სახლი დაზღვეული არა ყოფილა.

*** 27 ამ თთვისას, პოლიციის მე-10 განყოფილებაში, უბრალო ჯარის-კაცს პირველ საპიორების ბატალიონისას დანიელ სინჩენკოს განზრახვა ჰქონდა ქურდობა ჩაედინა, ამ აზრით საინჟინერო პარკის იარაღის საწყობში გადაძვრა ფანჯრიდგან და აქ დააპატიმრა იგი იმავე ბატალიონის მე-2 როტის ჯარის-კაცმა ზაქარია კოვშა.

*** იმავე დღეს, პოლიციის მე-10 განყოფილებაში, ტფილისის მაზრის მოსამსახურეთა კომანდის ჯარის-კაცი არტემ გავრელისი ჰბანაობდა მდ. მტკვარში და გაუფრთხილებლობით დაირჩო. დარჩობილის გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

*** 27 მკათათვის ღამეს, პოლიციის მე-4 განყოფილებაში, სტატსკი სოვეტნიკის ლეონ კარლის ძის ელენგერზოვის სახლის ბანზედ მყოფი ზანდუკები გაუტეხნიათ და გაუტანიათ ოცის თუმნის საავეჯე ტილოს ფარდები. დანაკარგი იპოვნეს მე-4 განყოფილების პოლიციის მოხელეებმა დედათა ინსტიტუტის იმ შენობის ერთს მხარეს, რომელიც ახლად იგება. ქურდი ჯერ აღმოჩენილი არ არის. გამოძიება სწარმოებს.

## უცხოეთი

საფრანგეთი ასის წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ საფრანგეთში ხვნა-თესვისა და მეურნეობის საქმეს. ამ ხანში ორი წილი გამოუსადეგარის მამულისა გაკეთებულა სახნავ-სათესად და მხოლოდ ერთი წილი-ღა დარჩენილა ისეთი, რომელიც ხვნა-თესვასა და მეურნეობაში გამოუსადეგარია. ეხლა ორი მილიონი დღიური მეტი ითესება პური, ვიდრე ამ ასის წლის წინად ითესებოდა. პური მოჰყავს ეხლა ⅔ ფრანგეთს სამჯერ მეტი, ვიდრე წინად; ორი მილიონი მეტია ეხლა, ვიდრე ასის წლის წინად, ხოლო რქოსანი საქონელი შვიდი მილიონი მეტია, ვიდრე მაშინ იყო. მხოლოდ ცხვრის რიცხვმა იკლო, რადგან ხვნა-თესვა ისე გავრცელდა, რომ იმისთვის საძოვარი ადგილები აღარ არის. გავრცელდა აგრეთვე სალეწი და სანიავებელი მაშინები, რომლებსაც მივარდნილსა და მიყრუებულს სოფლებშიაც-კი შეხვდებით. ეხლა, რაც მხვნელ-მთესველს მოჰყავს, ღირს რვა მილიარდი ფრანკი, მაშინ - როდესაც ამ ასის წლის წინად ლავუაზიეს ანგარიშით საფრანგეთს მოჰყავდა მხოლოდ ორის მილიარდის ფრანკის ნაწარმოები. უნდა-კი ვსთქვათ, რომ ეს წარმატება შეეხება თვით წარმოების გაძლიერებას. რაიცა შეეხება მხვნელ-მთესველის ცხოვრებასა და იმის ვითარებას, ეს სულ სხვა საგანია.

ხომ ასეთს წარმატებაშია დღეს ხვნა-თესვის საქმე, მაგრამ ეს წარმატება იმისი კიდევ ბევრად და ბევრად მცირეა მრეწველობის წარმატებასთან შედარებით. ამისი მიზეზი ის არის, რომ მთავრობა მეტად ხელს უმართავდა მრეწველობას და მეურნეობას-კი არა ჰშველოდა. პირ-იქით, კიდეც აბრკოლებდა გლეხ-კაცობაში, სოფლის ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელებას. იულიუს მონარხიამა და ნაპოლეონის მთავრობამ არამც თუ არა შეჰმატეს-რა მეურნეობას, არამედ განზრახ მოსპეს ყოველივე კეთილი დაწყობილება ხვნა-თესვის წარსამატებელი. 1848 წლის რესპუბლიკა-კი ბევრს ეცადა მეურნეობისათვის და სამეურნეო განათლებაც შემოიღო. ვერსალში დააარსა სააგრონომიო ინსტიტუტი, პირველი უმაღლესი სამეურნეო სასწავლებელი, გაჰმართა რამდენიმე შუათანაცა დეპარტამენტებში და უნდოდა სამაგალითოდ ფერმებიც დაეარსებინა სათითაოდ ყველა დეპარტამენტებში. მაგრამ მეორე იმპერიამ მოსპო ყოველივე ეს. საგრონომიო ინსტიტუტი გააუქმეს, დეპარტამენტების სკოლებიდამ მხოლოდ სამი-ღა დასტოვეს. შეამცირეს აგრეთვე სამაგალითო ფერმები, რომლებშიაც სამეურნეო სწავლაც იყო. ამას გარდა შეამცირეს ის ფულიც, რომელიც გადადებული იყო სამეურნეო სწავლა განათლებისათვის და 2½ მილი-

---

სერი გვაუწყებს, როგორც ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ. ლებბოკი გვიხსნის საიდამ წარმოსდგა ჩვეულება მკვდრისათვის გადადებულ შესაწირავის დაწვისა. იგი ამბობს, რომ ჯერ, რასაკვირველია, ეგონათ მკვდრის სულნი მართლა სჭამენ შეწირულსაო და მერე, როცა არა ერთხელ და ორჯელ ჰნახეს, რომ შეწირული ხელუხლებლად რჩება და სულთაგან არ იჭმევა, აშკარაა, ის აზრი ებადებათ, რომ სულნი მარტო სულიერ ნაწილს შეწირულისას იწოვენო [12]).

აქედამ არის წარმომდგარი წვა შესაწირავისა, რომლის გამოც ხორციელი ნაწილი, სულთათვის უვარგისი, სრულად იწვის და სულიერი-კი ბოლის სახით მაღლა ადის ვითომ-და სულის სახმარად და სარგოდ.

იმავე გრძნობამ, იმავე მიზეზმა, რომელმაც ადამიანს ჩააგონა პირუტყვის შეწირვაო, ამბობს ლებბოკი, მიიყვანა ადამიანი შეწირვის უმაღლესს ხარისხამდე, ესე იგი, კაცის სხვერპლად შეწირვამდეო. იმ განვითარების ხარისხზედ, რაზედაც მდგარან ადამიანები პირველ-ყოფილ დროს, ეს ამბავი იმოდენად ადვილად მისალებია ადამიანის გონებისათვისაო, რომ ეს სხვერპლად გაწირვა ადამიანისა ჩვეულებად ჰქონია ყოველს ერს მთელს ამ ქვეყნიერობაზედაო. ამის გამო სრულიად უსამართლო იქნება მივაწეროთ ეს ამბავი ადამიანის გამხეცებულობასაო. პირ-იქით, იგი გვანიშნებს ღრმასა და ღრმად გამსჭვალულს გრძნობას სარწმუნოებისას, მხოლოდ უკულმართად და შეცდომილად მიმართულსაო.

მართლადაც, ეს შეწირვა ადამიანისა წვითა, დაკვლითა, თუ ცოცხლადვე მკვდართან ერთად დამარხვითა, ჯერ სამარხის წესად ყოფილი, ანუ, უკედ ვსთქვათ, მკვდრის სულისათვის თან გასაყოლებელი, ესე იგი, ჯერ სამკვდროდ დადებული და მერე რჯულის წესად, სალმრთოდ გადაქცეული, ყველგან არის შენიშნული. კართაგენელთა, როცა დამარცხებულ იქმნენ აღათოკლესაგან სიცილიაში, დასწვეს შესაწირავად რამდენიმე ტყვე. ასსურელნი ამისთანავე მსხვერპლს სწირავდნენ თავის ღმერთს ნერგალს. საბერძნეთშიაც ყოფილა ეს ჩვეულება, თუმცა ისე ხშირად არა, როგორც სხვაგან, რადგანაც ამისთანა წესი მათს მითოლოგიას ეუცხოებოდა. კლასსიკური მწიგნობრობა ადამიანის სხვერპლად წვას ბევრგან იხსენიებს, მაგალითებრ, პატროკლის დაწვას და მასთან ერთად ტროიანელ ტყვეებისას, ცხენებისას და ძაღლებისას. რომის ისტორიაში უფრო ხშირად შეჰხვდებით ამისთანა ამბებს თითქმის ბოლოინდელ დრომდე. ცეზარმა ორი ჯარის-კაცი შესწირა ღმერთებს. ავგისტოსმა შესწირა ერთი ქალწული ქალი სახელად გრეგორია. ანტიოქიის ტაძრის განახლების დროს ტროიანემაც-კი შესწირა ერთი სული.

ევროპაში ამ ჩვეულების მაგალითებს კარგა ხანის შემდეგაც ვპოულობთ. სკანდინავიაში ღმერთს ოდინს 893 წელს შესწირეს იქაურ მეფის შვილი. იარლმა გაკონმა შესწირა ღმერთებს თავისი საკუთარი შვილი 993 წ. მეფე შვედებისა დომალდი დაუწვეს ღმერთს ოდინს შესაწირავად სიმშილის ასაცილებლად. ტეილორი ამბობს, რომ ევროპაში მას აქედ, რაკი გადავარდა ცოლებისა და მსამსახურეების თან გადაყოლება, ცხენის დაკვლა მიცვალებულის საფლავზედ და მიცვალებულთან ერთად მისი დამარხვა ჯერ კიდევ დიდხანს იყო ჩვეულებადაო. ამისი მაგალითი ყოფილა ჯერ კიდევ 1781 წ. ინგლისში და ბევრგან სხვაგანაც დღესაც მიცვალებულს უკან მიაყოლებენ ხოლმე ცხენსა. ეს ჩვეულება ჩვენშიაც არის დღეს: ამ შემთხვევისათვის ცხენს უკულმა შეჰკაზმენ, ვითომ-და მიცვალებულის უკან მოსაბრუნებლად.

ლებბოკის სიტყვით, ებრაელთაც ჰქონიათ ადამიანის სხვერპლად გაწირვა დაწვითა, თუ დაკვლითა. ამ რჯულად ქცეულს წესს ისე შეუხურებია ადამიანის გონება, რომ ბევრგან არამც თუ შესაწირავს ადამიანს სწვავდნენ, თვითონ თავის ნებითაც ცეცხლში ცვივოდნენ და ამ რიგად გაიწირეოდნენ ხოლმე თავს. ეს იყო, ლებბოკის სიტყვით, ინდოეთში, ორსავ არაბეთში, საცა ყოველ დღე დანიშნულს დროს ადამიანს სწირავდნენ ღმერთად აღიარებულს ცეცხლს და ზოგნი თვითონაც თავის ნებით შიგა ცვივოდნენ და ამ რიგად ღმერთს სწირავდნენ თავსა.

სლავიანებს, როგორც ბევრს სხვასაც, ჩვეულებად ჰქონიათ თან ჩააყოლონ, ანუ დასწვან მიცვალებულთან ერთად იმისი ქონება, იმისი პირუტყვი, მოსამსახურეები, ცოლი. დუნაის-პირელნი ბოლგარნი მიცვალებულთან ერთად ჰმარხავდნენ იმის ცოცხალს ცოლსა, მოსამსახურეებსა და ზოგჯერ სწვავდნენ მიცვალებულთან ერთად. ერთს მატიანეში აწერილია დამარხვა ერთის სოვდაგრისა ბოლგარიაში. მდიდრად მოსილი გვამი მიცვალებულისა დაუწვავთ და მასთან ერთად დაუწვავთ აგრეთვე იმისი მრავალი ქონება, ხორაგი, სანოვაგე, ძაღლი, ორი ცხენი, ორი ძროხა, ქათმები, მამლები და ახალგაზდა მოახლე, დამარხვის დღეს დაკლული.

ყოველი ესენი რომ წავიმძღვაროთ და მივმართოთ იმ სამთავროს საფლავების ახლოდ ყოფილს ნაცარს, საცა ბაიერნს, ჩვენის ავტორის სიტყვით, უპოვნია დამწვარი ძვლები ადამიანისა, ხარისა, ცხენისა, ცხვრისა და ქათმისა, განა შორს ვიქნებით მართალზედ ვიგულისხმოთ, რომ ქართველებსაც წესად და ჩვეულებად ჰქონიათ წვა მკვდრის საფლავზედ, ანუ მის ახლოდ სხვერპლისა ადამიანისა თუ პირუტყვისა, ისე, როგორც თითქმის ყველა სხვა ერს იმ ადრინდელ ხანაში, რომელსაც ეკუთვნიან პირველის ორის რიგის საფლავენი სამთავროსი, რომლის ძველის-ძველობა ჯერ გამოცნობილი არ არის მეცნიერთაგან დაბეჯითებით და რომლის ზოგიერთი ნაშთი, ვირხოვის სიტყვით, მიეწერება კულტურას ორი ათასის წლისას ქრისტეს წინად. ეს არამც თუ საგულისხმოა, უეჭველიც უნდა იყოს, ნამეტნავად იმისათვის, ვინც ჩვენზედ უფრო დაწვრილებით ჩააკვირდება შედარებითს მითოლოგიას. ჩვენი ავტორი აბა ამ ჩაკვირვებისათვის რად შეიწუხებს თავს მაშინ, როდესაც უბეში ჩასჯდომია იმისთანა ავტორიტეტს, როგორიც ბაიერნია. ამისთანაებში ჩვენი ავტორი მარტო ბაიერნს იცნობს და იმის წყალობით გამოდის. ამაზეა ნათქვამი: მითხარ, ვის იცნობ, გეტყვი, ვინა ხარო.

მეორე საბუთი ქართველების მიერ კაცის მჭამელობისა ხომ ის არის ჩვენის ავტორისაგან წარმოდგენილი, რომ ბაიერნმა სამთავროს საფლავების ადამიანთა ძვლებში ტვინი ველარა ჰნახა და აქედამ იგულვა, ვითომც იგი ძვლები უხარშავთო. თუ გავიხსენებთ, რომ იგი ძვლები ორი ათას წელიწადზედ ნაკლებისანი არ არიან ავტორისავე სიტყვით, მაშინ ეს საბუთი უტვინოსათვისაც-კი ყოვლად შეუწყნარებელი იქნება. ამოდენადვე შესაწყნარებელია თვითონ ჩვენის ავტორის საკუთარი საბუთი, ვითომც მჭახე და მოუცემელი ბუნება საქართველოსი იძულებულ ჰყოფდა ქართველებს სიმშილობის დროს ერთმანეთი ეჭამაო. ეს ისეთი საბუთია, რომელიც თავის თავსვე აბათილებს, რადგანაც საქართველოს ბუნების აგრე ხსენებისთვის ჯერ საჭიროა კაცმა თვალები დაითხაროს და გრძნობიერება, ცნობიერება დაიხშოს. ამ ორსავ საბუთზედ, ჩვენის ავტორის მიერ გაფუებულებზედ, პასუხი უკვე მოვახსენეთ ჩვენს მკითხველს წინა წერილში და ხელ-ახლად განმეორება თქმულისა მეტია.

ამ სახით ჩვენის ავტორის მიერ მოქსოვილი და ბეჭედ-დაკრული კაცის მჭამელობა ქართველების მიერ ზღაპრად უნდა ჩაითვალოს, თუ ამისათვის იმაზედ მეტს საბუთს ვერ გამოგვიჩხრეკს, რომელიც მას მოყვანილი აქვს თავის წერილებში. ვიმეორებთ, ჩვენ ამით იმის უარ-ყოფა-კი არ გვინდა, ვითომც ქართველებს ეგ საზარელი ჩვეულება ოდესმე არა ჰქონოდეთ. იქნება ჰქონდათ, როგორც ბევრს სხვას, მაგრამ ქართველების კარგად თუ ავად ხსენებისათვის რაკი დანახულია საჭიროდ ამისი თქმა და მერე დაჟინებითაც, სხვა საბუთებიც უნდოდა და არა იმისთანა უხერხულად მოქარგული, როგორც ავტორს და იმის წინამძღოლს ბაიერნს უნებებიათ. აქაო-და ღმერთს ჩემთვის მოუნიჭებიაო одним штрихомъ все обнять, და თითო მარცვლობით ასაკენკს, კრიტიკის ცხრილში გასაცხრელს ჩვენი ავტორი ნიჩბითა ჰხვეტს გაუცხრელად და გადაუნიავებლად. მართალია, ამისთანა ქცევას თუ შრომას მარტო ერთი ის ღირსება აქვს რომ ჩქარია, მაგრამ ესეც-კი საცოდნელია, რომ

ზოგჯერ სიწყნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა.

---

12) ლებბოკი: დასაწყისი ცივილიზაციისა, გვ. 263.

ონ ფრანკის მაგიერად დასტოვეს მხოლოდ 1 მილიონი და 130 ათასი ფრანკი წელიწადში. ერთის სიტყვით, ისე გაისარჯნენ, რომ ერთი დაწესებულებაც-კი არ დასტოვეს სახელმწიფოში სამეურნეო საქმეთა გამგეობისა და ზრუნვისათვის, თუმცა საფრანგეთი უმთავრესად მხვნელ-მთესველი სახელმწიფოა და ხვნა-თესვას მისდევს იქ 20 მილიონზე მეტი ხალხი. ამისთანა დაწესებულება დაარსდა მხოლოდ დღევანდელ მესამე რესპუბლიკის დროს, სახელდობრ ლეონ გამბეტას მეცადინეობით, როცა იმან შეადგინა თავისი „დიდი სამინისტრო“. სწორედ ამ დროს დაარსდა განსაკუთრებით ხვნა-თესვისა და სასოფლო მეურნეობის სამინისტრო, რომელმაც, თუმცა ცოტა ხანია, რაც არსებობს, ბევრი რამ გააკეთა მეურნეობისა და სამეურნეო სწავლა-განათლებისათვის. წინად თუ კეთდებოდა რამე, უფრო გზები კეთდებოდა, არხები, და სასოფლო მეურნეობის ცოდნის გავრცელებაზე-კი არას ჰფიქრობდნენ. ნაპოლეონ მე-III-ის მთავრობა უფრო დიდ-მემამულეებისათვის ჰფიქრობდა და იმათთვის აწესებდა ბაჟს სხვათა ქვეყნიდამ შემოსულს სამეურნეო ნაწარმოებზედ, პურზედ და სხვა გვარს ჭირნახულზედ. ეს გარემოება სიძვირესაც დიდსა ჰბადავდა და მეურნეობასაც ბევრად ხელს უშლიდა. დღესაც მესამე რესპუბლიკამ ვერ მოიშორა თავიდამ ასეთი ბაჟი. ამის მიზეზიც ზოგი ძველებური ჩვეულებაა და ზოგიც დიდის მემამულეების ახირება და კერძოდ მათი სარგებლობა. მაინც ეხლანდელი რესპუბლიკა დიდად ჰფიქრობს და ჰზრუნავს, როგორც სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელებისათვის, ისე უკეთესის სამეურნეო იარაღების გაიაფებისათვის. მთავრობა სცდილობს დღეს, რომ აცოდინოს ხალხს, რა წესი უფრო კარგია მიწის შემუშავებისათვის, რა იარაღი უფრო სჯობიან და უფრო მოხერხებულია ხვნა-თესვაში, როგორი უფრო კარგია მამულის გაპატივება, როგორი თესლი უნდა ითესებოდეს და სხვანი. ამასთანავე მთავრობა სცდილობს, რომ სოფლები ერთდებოდნენ და საერთო ღონით ჰყიდულობდნენ ყველაფერს, რაც განაკარგებს იმათს მეურნეობას. ამიტომ რესპუბლიკამ კვლავ დააარსა სააგრონომიო ინსტიტუტი, დამართა სამაგალითო ფერმა-სკოლები რიცხვით 23, რომლებიც მერე ყველა დეპარტამენტში სათითაოდ გაიმართება. საოსტატო სემინარიებში შემოიღო სწავლება მეურნეობისა, დანიშნა დეპარტამენტებში პროფესორები და დაავალა ლექციების კითხვა ხვნა-თესვის შესახებ, ადგილის საჭიროებისა და გარემოების მიხედვით, — სიარული სოფლებში და ახსნა და ჩვენება მაშინებისა, უკეთესის იარაღებისა და სხვანი. ამას გარდა მთავრობამ დააარსა რამდენსამე ადგილას სამეურნეო ლაბორატორიები და საცდელი მამულები, საცა ყველა მხვნელ-მთესველს შეუძლიან თავის თვალით ჰნახოს, რა გაკეთებულა კარგი ხვნა-თესვის საქმეში, რა შემოუღიათ სახეირო და სასარგებლო მამულის მოვლისათვის. დღევანდელი მთავრობა ბევრად მეტსაც ჰხარჯავს მეურნეობის საჭიროებისათვის, ვიდრე წინად იხარჯებოდა. 1789 წ. იხარჯებოდა სულ 112,800 ფრანკი, 1829 წ.—297,828 ფრან., 1869 წელს—4 მილიონი, და ეხლა-კი 8.339,000 ფრანკი იხარჯება.

# დეპეშა

27 მკათათვე

პეტერბურგი. დღეს წავიდა საზღვარ-გარეთ დიდი მთავრინა მარიამ ალექსანდრეს ასული, ჰერცოგინია ედინბურგისა თავის მეუღლითურთ.

ლონდონი. იახტ-კლუბში ბანკეტზე პრინცმა უელსისამ სთქვა სადღეგრძელოს წარმოთქმის დროს, სხვათა შორის, შემდეგი: „ჩვენს დროში ყველა სახელმწიფო მზად უნდა იყოს ყოველ გვარის შემთხვევისათვისაო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დიდი მხედრობა გერმანიისა და აგრეთვე ფლოტი ბრიტანიისა ხელს შეუწყობენ მშვიდობიანობის დაცვასაო“. იმპერატორმა ვილჰელმმა უპასუხა: „გერმანიას იმოდენა ჯარი ჰყავს, რამოდენაც იმის საჭიროებას ეშესაბამება, და თუ ბრიტანიის ერიც იყოლიებს თავის საჭიროების შესაფერს ფლოტს, ევროპა ამ გარემოებას ჩასთვლის მშვიდობიანობის დამცველ ფაქტორადაო.

ლონდონი. გუშინ საუზმის დროს ქვეითა ჯარის ვარჯიშის შემდეგ იმპერატორმა ვილჰელმმა მოიგონა ძმობა ინგლისელებისა და პრუსიელებისა ერთად ომის გამო მალპლოლოესა და ვატერლოოსთან. იმპერატორმა თავისი ლაპარაკი იმითი დაასრულა, რომ სამჯერ წარმოსთქვა „hoch!“ ბრიტანიის მხედრობის პატივ-საცემლად.

ვენა (განსაკ. დეპეშა). საბერძნეთის ელჩმა წარუდგინა გუშინ გარეშე საქმეთა სამინისტროს საცირკულიარო ნოტა საბერძნეთისა კრიტის კუნძულის შესახებ. ამ ნოტაში საბერძნეთის მთავრობა სწერს, რა უწესოებაც მოხდა კუნძულზედ. და მერე ამბობს, რომ ოსმალეთმა დაურიგა მუსულმანობას ქალაქებში თოფიარაღი და ამის გამო ქრისტიანებს ამოწყვეტა მოელითო. თუ მართლა საქმე ძალადობამდე მივიდა, საბერძნეთი იძულებული იქნება მიექომაგოს კანდიის ქრისტიანებსაო.

პარიჟი. დღეს იყო პირველი კრება უმაღლესის სასამართლოსი. მდივანმა წაიკითხა სხვა-და-სხვა ქაღალდებ, საქმის წარმოების შესახებ და შემდეგ პროკურორმა დაიწყო საბრალმდებლო სიტყვის თქმა.

ლონდონი. ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი $2^1/_2$-იდამ $3^0/_0$-მდე.

პეტერბურგის ბირჟა, 25 მკათათვე.

| | მყიდველნი ჰხა. | გამყიდველნისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 71 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | $153^1/_2$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | — „ | 1 11 |
| $5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | $263^1/_2$ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . . | — „ | — „ | 245 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

**მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე**

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები დანიშნულია 23, 24 და 26 აგვისტოსათვის. ამავე დროს ხელ-მეორედ უნდა გამოსცადონ ის ყმაწვილები, რომლებმაც წელს სრული ეგზამენი ვერ დაიჭირეს. თხოვნა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე, კვირა-უქმე დღეს გარდა, დირექტორის სახელობაზე. თხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინონ წლოვანების მოწმობა და მოწმობა ყვავილის აცრისა. ყმაწვილები უნდა იყვნენ ჯან-მთელნი, არა ნაკლებ $13^1/_2$ წლისა და არა უმეტეს 19-ისა. ყმაწვილებმა უნდა იცოდნენ უმთავრესი ლოცვები და მოთხრობები საღვთო ისტორიისა, თავისუფლად უნდა კითხულობდნენ და წერაც უნდა შეეძლოთ ისე, რომ ბევრი შეცდომა არ მოსდიოდეთ. წერა-კითხვა სამშობლოსა და რუსულს ენაზე უნდა იცოდნენ. აგრეთვე უნდა იცოდნენ არითმეტიკის ოთხივე მოქმედება.

(4—4)

ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ახალი წიგნი რუსულ ენაზე:

**ГРУЗИНСКІЕ ПОЭТЫ**

**въ образцахъ,**

пер. И. Ф. Тхоржевскаго.

ფასი 30 კაპ.

**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ცხოვრება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «საღმრთო წიგნთ-საკითხავისა» . . . . . | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა . . . . . . | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი . . . | 1 | |
| საყმაწვილო ამბები . . . | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე . . . . . | „ | 20 |

№ 4711.

ამ ფაბრიკის მარკით მომზადებული

ო-დე-კალონი,
სურნელოვანი წყლები,
სატუალეტო საპონი საუკეთესო ღირსებისა,
გლიცერინის საპონი,
კანის დასარბილებელი საშუალებანი,
კბილის ტკივილის წამალნი,
პუდრა,
თმის ზეთი, პომადა,
ტუალეტის წყალი
და სხ.

თავისის მშვენიერის ღირსებისა და სიაფის წყალობით მთელს ქვეყანაზეა განთქმული.

ვსთხოვთ საპარფიუმერო საქონლის მყიდველთ, რომ ყიდვის დროს საქონელი მოიკითხონ აქ აღნიშნულ

საფაბრიკო № 4711. მარკიანი,

რომლისთანაც რუსეთის თითქმის ყველა საუკეთესო საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში ისყიდება.

უმთავრესი დეპო ტფილისისათვის იმყოფება ი. ბალცერეიტთან.

(10—3)

# დიდი სააბრეშუმო ქარხნები

მოლტიფაოში (კორსიკის კუნძულზედ) და ვიზანს (გარდში)

ცელიულიარის აბრეშუმის თესლი (პასტერის სისტემისამებრ)

BERTRAND ET ALOISI

ხამ-მოსხლეტისა ფერი




ხამ-მოსხლეტისა ფერი

ყვითელი და თეთრი ჯიში.

ვისაც Bertrand et Aloisi-ს თესლის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ტფილისის აბრეშუმის სტანციას 1889 წლის ოქტომბრის თვიდგან დაწყებული.

(10—4)

Доз. ценз. Тифлисъ 28-го Іюля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка. на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე